სამშობიარო „იმედის კლინიკა"
ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. № 10 ა

MATERNITY HOME "IMEDIS CLINICAL"
10 a KING MIRIAN'S STREET, TBILISI, GEORGIA

TEL:2 23-84-80

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას

ბატონო ზურაბ,

ჩემი და უამრავი ჩემი კოლეგის, ვინც დღეს საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში აქტიურად და ეფექტურად არის ჩართული, Alma Mater თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია - უმაღლესი სამედიცინო განათლების მემატიანე, ლამის საუკუნოვანი ისტორიის მქონე უმაღლესი სამედიცინო განათლების ტრადიციული კერა საქართველოში.

ყოველთვის ასე იყო და ბოლო წლებია, ეს განსაკუთრებით შეიგრძნობა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლებას, საექიმო საქმიანობას და კვლევას თანაბრად მნიშვნელოვანი როლი უკავია მომავალი მედიკოსის მომზადების საქმეში. ჩემთვის, როგორც კლინიცისტისთვის ეს განმსაზღვრელი მნიშვნელობის ხედვაა, მით უფრო - დიპლომამდელი მომზადების ეტაპზე.

უმაღლესი სამედიცინო განათლება გამორჩეულადაა დამოკიდებული სასწავლო კლინიკური ბაზების არსებობაზე, არსებული ბაზების მატერიალურ-ინფრასტრუქტურულ მზაობაზე, აკადემიური კადრის შესაბამისობაზე სამედიცინო განათლებისათვის დადგენილ სტანდარტებთან. ამ მიმართებით უნივერსიტეტის თითოეული წევრის და, განსაკუთრებით - მისი ხელმძღვანელობის მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები (ვგულისხმობ რამდენიმე თვის წინ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნას, და არა მარტო!) იმედს გვიტოვებს, რომ ჩემს უნივერსიტეტში საერთაშორისო დონის აკადემიური სამედიცინო განათლება კვლავაც განვითარდება კლინიკური აზროვნების, პროფესიული ეთიკის ფასეულობების, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების გაძლიერების მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი
რეგისტრაციის № 8124
25" 08 2015 წ.

Scanned by CamScanner

მედიცინა სერვისზე ორიენტირებული სოციალური პროფილის მქონე დარგია; ამიტომაც, მისკენ მიმართული გამოწვევები მზარდია, მოთხოვნები კონკურენტული უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კადრების მიმართ კი - საკმარისად მაღალი და მუდამ განვითარებადი. შესაბამისად, სათანადო მოქალაქეობრივი დამოკიდებულებების მქონე საზოგადოების თითოეული წევრი თავს ვალდებულად უნდა შერაცხდეს, შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანოს მისი ქვეყნის სათანადო მომზადების სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ეს მით უფრო ეგების სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, მის გულშემატკივრებს და პარტნიორებს. ამაში ახალი არაფერია - Alumni-ის ინსტიტუტი მოქმედებს ძალიან ბევრ ქვეყანასა და უნივერსიტეტში.

„იმედის კლინიკა“ წელს ათი წლის ხდება. იგი სამედიცინო უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკაა 2005 წლიდან. ჩვენთან პოსტდიპლომურ მზადებას გადიან რეზიდენტები მეანობა-გინეკოლოგიაში პროფესორ კონსტანტინე ხარაბაძის ხელმძღვანელობით

„იმედის კლინიკის“ თითოეული წევრი თავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრად თვლის და გულწრფელად ამაყობს ამით. ამასთან, ჩვენც, ჩვენი მხრივ, ყოველთვის ვგრძნობთ სოლიდარულ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას ჩვენი წამოწყებების მიმართ.

ყოველივე მაძლევს საფუძველს, რომ როგორც „იმედის კლინიკის“ ხელმძღვანელმა, გავახმოვანო მისი კოლექტივის თითოეული წევრის სურვილი - „იმედის კლინიკა“ უფრო აქტიურად და სხვადასხვა ფორმით ჩაერთოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიურ მზადებაში. **გთავაზობთ** შემდეგ ინიციატივებს:

- „იმედის კლინიკა“ შემოდის წინადადებით, **2015/16 სასწავლო წლიდან** მედიცინის ფაკუკლტეტზე დაინიშნოს **„იმედის კლინიკის“ სახელობის სტიპენდია** - თვეში 150 ლარის ოდენობით; ჩვენი სურვილი იქნებოდა, „იმედის კლინიკის“ სტიპენდია დაენიშნოს წარჩინებულ სტუდენტს უმაღლესი შეფასებებით მეანობასა და გინეკოლოგიაში; სტუდენტის შრომის მატერიალური წახალისება მნიშვნელოვანია, უპირველესად, დაფასების თვალსაზრისით, თუმცა, სოციალური სოლიდარობის მნიშვნელობაც უეჭველია. ვვარაუდობთ, რომ სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა ფაკულტეტზე გარკვეული წესებით რეგულირდება; მზად ვართ, სამუშაო რეჟიმში სათანადო კომპეტენციის საუნივერსიტეტო სტრუქტურებთან განვიხილოთ ამ საკითხის პროცედურული დეტალები, თუ იქნება შესაბამისი ნება და გადაწყვეტილება.

- „იმედის კლინიკა“ სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს მისი **ოთხი მეხუთე/მეექვსე კურსელი სტუდენტის დასაქმებას კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში,** მორიგე ბრიგადაში მისი შრომის ანაზღაურებით დადგენილი წესით. ვფიქრობთ, სტუდენტის აქტიური, „ცოცხალი“ ჩართულობა საექიმო საქმიანობაში

Scanned by CamScanner

(ცხადია, მისი აკადემიური მომზადების შესაბამისად და სასწავლო პროცესისგან თავისუფალ დროს) ხელს შეუწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და, საბოლოო ჯამში, წაადგება მისი საექიმო მზადების ეფექტურობის ამაღლებას. აქაც მზად ვართ ფორმალური თუ სხვა ტიპის საკითხების მოსაგვარებლად, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

- „იმედის კლინიკას“ აქვს წინადადება – მედიცინის ფაკულტეტის მაღალკურსელი სტუდენტებისგან, ვინც სერიოზულად და სამომავლო პროფესიული მიზნით არის დაინტერესებული მეანობა–გინეკოლოგიით, ჩამოყალიბდეს „იმედის კლინიკის კლუბი“. „კლუბში“ გაწევრიანებულთ ექნებათ შესაძლებლობა, გახდნენ „იმედის კლინიკის“ წევრები და აკადემიური პროცესისგან თავისუფალ დროს სრულად ჩაერთონ ჩვენი პროფილური კლინიკის სამედიცინო საქმიანობაში (მორიგეობა, ოპერაციაზე დასწრება თუ სხვ.). მოგეხსენებათ, „იმედის კლინიკას“ აქვს აკადემიური მუშაობის გამოცდილება როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომისშემდგომი განათლების ეტაპზე.

ბატონო ზურაბ,

თქვენ არაერთხელ აგიღნიშნავთ, რომ ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს, მათ შორის -კურსდამთავრებულებს, აქვს და ექნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა. გთხოვთ, ჩვენი შემოთავაზებები მიიღოთ ამ წინადადების მოკრძალებულ რეალიზებად ჩვენი და თქვენი მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით.

მზად ვართ და მოხარული ვიქნებით თქვენთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ღრმა პატივისცემით,

დავით კობეშავიძე,

„იმედის კლინიკის“ დირექტორი

25/08/2015

Scanned by CamScanner